პროლეტარებო ყველა ეროვნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ხუთშაბათი
11 აპრილი
1940 წ.
№ 84 (5785)
ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

დღეს გაზეთში:

სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია. კანონები, მიღებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ (1-ლი და მე-2 გვ.)

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობა (მე-2 გვ.)

დანიის მეფისა და მთავრობის მიმართვა მოსახლეობისადმი (მე-2 გვ.)

ჩემბერლენის გამოსვლა (მე-2 გვ.)

ნორვეგიის ახალი მთავრობა (მე-2 გვ.)

ბრძოლა ნორვეგიის ნაპირებთან (მე-2 გვ.)

რუზველტის განცხადება (მე-2 გვ.)

გერმანიის კრეისერების ჩასვლა ტრონჰეიმში (მე-2 გვ.)

დანიასა და შვეიცარიას ზორის მიმოსვლის შეწყვეტა (მე-2 გვ.)

სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

კანონები, მიღებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ

კანონი სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ

I. რა ძალება უნდა იქნას დაზღვეული

1. კოლმეურნეობებში სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის წესით დაზღვეულ უნდა იქნას:

ა) შენობები, ინვენტარი, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, პროდუქცია, ნედლეული და მასალები;

ბ) სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნათესები (მათ შორის სანერგეებსა, კვალსათბურებსა და სათბურებში მყოფიც), სანერგეები და ბაღების, საკენკრეებისა და ვენახების მოსავალი;

გ) მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ცხვარი, თხა და ღორი 6 თვეზე მეტი ასაკისა; ცხენი, აქლემი, სახედარი, ჯორი და ირემი 1 წლისაზე მეტი ასაკისა, ხოლო ცხენის, აქლემისა და სახედრის ჯიშიანი მოზარდეული—6 თვეზე მეტი ასაკისა;

დ) თევზსაჭერი გემები.

2. მოქალაქეთა მეურნეობებში სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის წესით დაზღვეულ უნდა იქნას შემდეგი ქონება, რაც მათ პირადი საკუთრების უფლებით ეკუთვნით:

ა) შენობები;

ბ) მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი 6 თვეზე მეტი ასაკისა; ცხენი, აქლემი, სახედარი, ჯორი, ცხვარი და თხა 1 წლისაზე მეტი ასაკისა; ღორი 9 თვისაზე მეტი ასაკისა;

გ) სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მინდვრის ნათესები.

II. რა შემთხვევებში ხდება ზარალის ანაზღაურება

3. შენობების დაზღვევის, ხოლო კოლმეურნეობებში, ამას გარდა, ინვენტარის, მოწყობილობის, სატრანსპორტო საშუალებათა, პროდუქციის, ნედლეულისა და მასალების დაზღვევის დროს სახდაზღვევა აანაზღაურებს ცეცხლისაგან, მეხის დაცემისაგან, აფეთქებისაგან (თუნდაც მეხის დაცემამ და აფეთქებამ არ გამოიწვიოს ხანძარი), წყალდიდობისაგან, მიწისძვრისაგან, ქარიშხლისაგან, გრიგალისაგან, თქეშისაგან, სეტყვისაგან, ჩამოზვავებისა და მეწყერისაგან მიყენებულ ზარალს.

სახდაზღვევა დამზღვევთ ზარალს აუნაზღაურებს აგრეთვე ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც ხანძრის გავრცელების შესაწყვეტად ან წყალდიდობის მოულოდნელი საფრთხის დროს საჭირო გახდა შენობის დაშლა ან მისი გადატანა სხვა ადგილას.

4. სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზღვევის დროს სახდაზღვევა აანაზღაურებს ზარალს, რომელიც მოხდა:

ა) სეტყვისაგან, თქეშისაგან, ქარიშხლისა და მოუმკელი მოსავლის დაწვისაგან;

ბ) დასველებისაგან, დაზრვისაგან, ჩალპობისაგან, მოყინვისაგან და წყალდიდობისაგან.

5. ბამბის, შირბახტის, აბუსალათინის, გველთავას, ცერეცოს, ალისარჩულის, ქინძის, არახისის, თამბაქოს, წეკოს, ანისულის, სოიას, ბრინჯის, კანაფის, შვიას, ვერანის, ბელადონის, კატაბალახას, ქაფურის რეჰანის, ლუფის, შავი ბალბის, ფუტკარას, პიტნის, სალაბის, კვლიავის, დალმატის გვირილას, პერილის, რამის, გოკშოს გირჩის, კაუჩუკოვანი კულტურების, აგრეთვე სვიისა და დამასკოს ვარდის მოსავლის დაზღვევის დროს ანაზღაურდება ზარალი, რომელიც მიყენებულია სეტყვისაგან, თქეშისაგან, ქარიშხლისაგან, მოუმკელი მოსავლის დაწვისაგან, დასველებისაგან, დაზრვისაგან, ჩალპობისაგან, მოყინვისაგან, წყალდიდობისა და გვალვისაგან.

6. პირუტყვის დაზღვევის დროს სახდაზღვევა აანაზღაურებს ზარალს, გამოწვეულს პირუტყვის დახოცვით, რაც ავადმყოფობის, სიბერისა და უბედური შემთხვევის გამო მოხდა.

სახდაზღვევა აგრეთვე აანაზღაურებს პირუტყვის იძულებითი დაკვლით გამოწვეულ ზარალს:

ა) თუ პირუტყვი დაიკლა ვეტერინარი ექიმის ან ვეტერინარი ფერშლის განკარგულებით, ეპიზოოტიასთან ბრძოლის ღონისძიებათა გატარებასთან დაკავშირებით;

ბ) თუ პირუტყვი დაიკლა ვეტერინარი ექიმის, ვეტერინარი ფერშლის განკარგულებით, ხოლო მათი არყოფნის დროს—სასოფლო საბჭოს დეპუტატის განკარგულებით, როდესაც პირუტყვს უბედურება შეემთხვევა და მას აუცილებელი დაღუპვა ემუქრება;

გ) თუ პირუტყვი დაიკლა ვეტერინარი ექიმის ან ვეტერინარი ფერშლის განკარგულებით იმ განუკურნებელი სენის შედეგად, რომელიც შეუძლებელს ხდის პირუტყვის შემდგომ გამოყენებას.

7. თევზსაჭერი გემების დაზღვევის დროს სახდაზღვევა აანაზღაურებს ზარალს, რაც გამოწვეულია:

ა) ხანძრისაგან, მეხის დაცემისაგან, ქარიშხლისაგან, გრიგალისაგან, ქარტეხილისაგან, შტორმისაგან;

ბ) გრუნტზე, კლდეზე, წყალქვეშა ქვებსა და ყოველგვარ უძრავ ან მკურავ საგნებზე დაჯახებისაგან, თუ დაჯახება მოხდა ქარიშხლის, გრიგალის, ქარტეხილის, შტორმის ან ნისლის შედეგად;

გ) ქარიშხლის, გრიგალის, ქარტეხილის, შტორმის ან ნისლის დროს მეჩეჩზე გემის დაჯდომისაგან;

დ) მოტორის ან საორთქლე ქვაბების აფეთქებისაგან;

ე) ყინულის მიერ გემების დაზიანებისაგან ნაოსნობის ან ისეთ ადგილებში დგომის დროს, რომლებიც სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატის ან სსრ კავშირის სამდინარო ფლოტის სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ ცნობილია გამოზამთრებისათვის უშიშარ ადგილებად;

ვ) ქარიშხლის, გრიგალის, ქარტეხილის ან შტორმის შედეგად გემის უკვალოდ დაკარგვისაგან.

8. მე-3, 4, 5 და 6 მუხლებში ჩამოთვლილი სტიქიური უბედურებისაგან ქონების სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევა (1 და 2 მუხლებით) ხდება საყოველთაოდ.

თევზსაჭერი გემების დაზღვევა მე-7 მუხლში ჩამოთვლილი სტიქიური უბედურებისაგან ტარდება ყველა ზღვაში და შემდეგს ტბებზე: ლადოგის, ონეგის, ბელის, ჩუდის (თბილი ტბითურთ) პსკოვის, ბალხაშის, ბაიკალის, ილმენის, პალეასტომისა და ისიკ-კულის ტბებზე.

მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, სახდაზღვევასთან შეთანხმებით, უფლება ეძლევათ გააკრძალონ თევზსაჭერი გემების დაზღვევა სხვა წყალსატევებზე, რომლებშიც თევზის სარეწაო ჭერა სწარმოებს.

III. რა თანხის ოდენობით გაიცემა სადაზღვევო ანაზღაურება

9. კოლმეურნეობათა კუთვნილი შენობების, ინვენტარის, მოწყობილობის, სატრანსპორტო საშუალებათა, პროდუქციის, ნედლეულის, მასალების, თევზსაჭერი გემების (მუხ. 7) ცეცხლისა და სხვა სტიქიური უბედურებისაგან (მუხ. 3) დაღუპვის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა ქონების საერთო ღირებულების რაოდენობით საინვენტარო შეფასების მიხედვით, ხოლო იმ შენობებისა, რომლებიც მოქალაქეებს პირადი საკუთრების უფლებით ეკუთვნით, — შენობათა სრული ღირებულების ოდენობით სადაზღვევო შეფასების მიხედვით (საქალაქო ადგილებში — იმ შეფასების მიხედვით, რომელსაც დაწესებენ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთა ორგანოები).

10. იმ შემთხვევაში, თუ სასოფლო-სამეურნეო კულტურები დაიღუპება, სადაზღვევო ანაზღაურება მიეცემა შემდეგი ნორმების მიხედვით (მანეთობით ჰექტარზე):

რესპუბლიკის დასახელება	მეურნეობათა კატეგორიები	მარცვლეული, პარკოსანი, საბოლო სელი, მზესუმზირა, ნათესი ბალახები (გარდა ნათესი ბალახთა სათესლეებისა), სასოფლო კულტურები, მდგომარე, ზარალები, პაპუსლათინი, ცერეცო, ანისული, სოია, კანაფი, შვია, ალისარჩული, ქინძი.	ბამბა (შორის უიტ-ს-ტანი) ნარგავები, ბამბის ნერგები, ბამბის ბუჩქები.	ბაღები (მათ შორის უიტ-ს-ტანის ნარგავები), რესპუბლიკა-ავტონომიური ბაღები.	ვენახები.	ბაღები.	თამბაქო ყვითელი და სასიგარეო.
1	2	3	4	5	6	7	8
რსფსრ	კოლმეურნეობას ერთპიროვნულ	60	500	700	1.000	200	1.200
	მეურნეობას	50	400	—	—	160	1.000
უკრაინის სსრ	კოლმეურნეობას ერთპიროვნულ	70	500	800	900	200	800
	მეურნეობას	60	400	—	—	160	650
ბელორუსიის სსრ	კოლმეურნეობას ერთპიროვნულ	60	500	700	—	—	800
	მეურნეობას	50	400	—	—	—	650
აზერბაიჯანის სსრ	კოლმეურნეობას ერთპიროვნულ	80	800	1.000	1.500	400	1.400
	მეურნეობას	60	650	—	—	300	1.100
საქართველოს სსრ	კოლმეურნეობას ერთპიროვნულ	80	800	1.000	1.500	400	1.600
	მეურნეობას	60	650	—	—	300	1.300
სომხეთის სსრ	კოლმეურნეობას ერთპიროვნულ	90	800	1.000	1.500	400	1.300
	მეურნეობას	70	650	—	—	300	1.000
თურქმენეთის სსრ	კოლმეურნეობას ერთპიროვნულ	75	900	1.200	1.500	500	700
	მეურნეობას	55	800	—	—	400	550
უზბეკეთის სსრ	კოლმეურნეობას ერთპიროვნულ	75	900	1.200	1.500	600	1.000
	მეურნეობას	55	800	—	—	500	800
ტაჯიკეთის სსრ	კოლმეურნეობას ერთპიროვნულ	75	900	1.200	1.500	500	700
	მეურნეობას	55	800	—	—	400	550
ყაზახეთის სსრ	კოლმეურნეობას ერთპიროვნულ	50	600	800	1.000	400	1.200
	მეურნეობას	45	500	—	—	300	1.000
ყირგიზეთის სსრ	კოლმეურნეობას ერთპიროვნულ	60	600	800	1.000	400	1.200
	მეურნეობას	50	500	—	—	300	1.000

სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასახელება	ყველა მოკავშირე რესპუბლიკა-სათვის კოლმეურ-ნეობებს	ერთპიროვნულ მეურნეობებს
სვია (საშუალოდ რამდენი წლის აღმოცენებულიც არ უნდა იყოს)	2.800	2.200
კატაბალახა, ბელადონა, გერანი, ქაფურის რეჰანი, დამასკოს ვარდი, ლიუფა, პერილა, არახისი, რამი, გველთავა	500	400
გოკშოს გირჩა (დაიზღვევა აღმოცენების მე-2 წლიდან)	1.000	800
თამბაქოს, კომბოსტოს, ტომატისა და სხვა კულტურების ჩითილი; ვენახის სანერგეები, ხეხილის, სვიის, ჩაისა და სხვა კულტურათა სანერგეები	10.000	—
კარტოფილი, ძირხვენა მცენარეები (მათ შორის შაქრის ჭარხალი), ძირხვენა მცენარეთა სათესლეები, სათეს ბალახთა სათესლეები, საბოჭკოე სელი, ჩრდილოეთისა და სამხრეთის კანაფი, თამბაქო-ბაკუნი, წეკო, შავი ბალბა, ფუტკარა, პიტნა, სალაბი, კვლიავი, დალმატის გვირილა, ბრინჯი, კაუჩუკოვანი და სხვა კულტურები	250	200

11. ცხოველთა დაღუპვის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება მიეცემა შემდეგი ნორმების მიხედვით (მანეთობით 1 ცხოველზე):

ცხოველთა სახე	ყველა მოკავშირე რესპუბლიკისათვის კოლმეურ-ნეობებს	მოქალაქეთა მეურნეობებს (პირადი საკუთრება)
მსხვილფეხა რქიანი საქონელი, ცხენი, ჯორი, აქლემი	300	250
სახედარი	100	80
ცხვარი და თხა	60	50
ღორი	80	60
ირემი	65	—

შენიშვნა 1. 1 წლიდან 2 წლამდე ხნის ცხენის, აქლემის, სახედრის და ირმის (კოლმეურნეობათა კუთვნილისა კი—6 თვიდან 2 წლამდე ხნის ჯიშიანი ცხენის, აქლემისა და სახედრის) 18 წლისაზე ხნიერი ცხენის, აგრეთვე 6 თვიდან 1 წლამდე ხნის მსხვილფეხა რქიანი საქონლის დაზღვევის სადაზღვევო უზრუნველყოფის ნორმა 50 პროცენტით მცირდება.

შენიშვნა 2. კოლმეურნეობათა კუთვნილი, 2 წლისაზე მეტი ხნის ჯიშიანი ცხენები, აქლემები და სახედრები, აგრეთვე 1 წლისაზე მეტი ხნის ჯიშიანი მსხვილფეხა რქიანი საქონელი, ცხვრები და ღორები სადაზღვევო შეფასების სრული ღირებულების რაოდენობით დაიზღვევა.

12. მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება მიენიჭოთ:

ა) გაადიდონ ან შეამცირონ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დაზღვევის (მუხ. 10) და ცხოველთა დაზღვევის (მუხ. 11) უზრუნველყოფის ნორმები სულ დიდი 20 პროცენტის რაოდენობით;

ბ) დააწესონ ცხოველთა დაზღვევის და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დაზღვევის უზრუნველყოფის ნორმები ავტონომიური რესპუბლიკებისა, მხარეებისა და ოლქებისათვის, ხოლო იმ მოკავშირე რესპუბლიკებში, რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ,—რაიონებისათვის.

სსსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება ენიჭებათ რაიონებისა და ქალაქებისათვის დაადგინონ ნორმები სადაზღვევო უზრუნველყოფის იმ საშუალო ნორმების ფარგლებში, რომლებიც დაწესებულია ასსრ რესპუბლიკისა, მხარისა და ოლქისათვის.

13. ამ კანონში აღნიშნული უზრუნველყოფის ნორმების მიხედვით სადაზღვევო ანაზღაურება გაიცეს 1941 წ. 1 იანვრიდან მომხდარი ზარალისათვის.

14. სადაზღვევო ანაზღაურება სადაზღვევო უზრუნველყოფის მთელი თანხის რაოდენობით გაიცემა მხოლოდ ქონების მთლიანად დალუპვისას; ნაწილობრივ დაზიანებისას გაიცემა სადაზღვევო უზრუნველყოფის თანხის სათანადო ნაწილი.

პირუტყვის დაღუპვის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა უზრუნველყოფის ნორმის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ამ პირუტყვის ნამდვილი ღირებულებისა ჯანსაღ მდგომარეობაში.

IV. სადაზღვევო გადასახდელები

15. დაწესდეს შემდეგი განაკვეთები (ტარიფები) სადაზღვევო გადასახდელებისა (მანეთობით სადაზღვევო უზრუნველყოფის 100 მანეთზე):

დაზღვევის ობიექტები	კოლმეურ-ნეობებში	ერთპიროვნულ მეურ-ნეობებში	რაიონიერ-ულ მეურ-ნეობებში
1. ნაგებობანი, პროდუქცია, ნედლეული და მასალა			
ა) რსფსრ და ბელორუსიის სსრ სოფელ ადგილებში	0,80	1,00	1,80
ბ) უკრაინის სსრ სოფელ ადგილებში	0,60	0,90	1,40
გ) აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, თურქმენეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, კაზახეთისა და ყირგიზეთის სს რესპუბლიკების სოფელ ადგილებში	0,50	0,70	1,00
დ) ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ქალაქებში, მუშათა დაბებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში	0,30	0,50	0,50
2. ინვენტარი, მოწყობილობა და სატრანსპორტო საშუალებანი ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში	0,30	—	—
3. ცხენი და ჯორი—ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში	6,00	8,00	14,50
4. აქლემი და სახედარი—ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში	5,00	7,00	9,00
5. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი — ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში	2,00	3,00	5,00
6. ცხვარი და თხა—ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში	3,00	5,00	7,00
7. ღორი—ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში	4,00	6,00	8,00
8. ირემი რსფსრ-ში და კაზახეთის სსრ-ში	6,00	—	—
9. სასოფლო-სამეურნეო კულტურები:			
ა) სეტყვისაგან, თქეშისაგან, ქარიშხლისა და ცეცხლისაგან მოუმკელი კულტურების დაზღვევისას:			
რსფსრ-ში, უკრაინის, ბელორუსიის და ყირგიზეთის სსრ-ში	1,25	—	2,50
აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის სსრ-ში	2,50	—	5,00
თურქმენეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, კაზახეთის სსრ-ში	0,80	—	1,60
ბ) დასველებისაგან, დაზრვისაგან, ჩალპობისაგან, მოყინვისა და წყალდიდობისაგან დაზღვევისას:			
საშემოდგომო ნათესებისა და მრავალწლოვანი ნათესი ბალახებისა—ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში	3,50	—	9,00
დანარჩენი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა—ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში	1,70	—	5,00
თევზსაჭერი გემებისა—ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში	2,00	—	—

16. ამ კანონის მე-5 მუხლში ჩამოთვლილი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზღვევისას დაწესდეს შემდეგი განაკვეთები (ტარიფები) სადაზღვევო გადასახდელებისა (მანეთობით სადაზღვევო უზრუნველყოფის 100 მანეთზე):

	კოლმეურ-ნეობებში	ერთპიროვნულ მეურ-ნეთა მეურ-ნეობებში
ბამბა:		
ა) რსფსრ-ში და უკრაინის სსრ-ში	6,0	10.0
ბ) უზბეკეთის სსრ-ში	2,5	4,5
გ) აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის, კაზახეთის და ყირგიზეთის სს რესპუბლიკებში	3,5	6,0
თამბაქო (ყვითელი, სასიგარე და ბაკუნი):		
ა) საქართველოს სსრ-ში	10,0	15,0
ბ) რსფსრ-ში	8,0	12,0
გ) უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქმენეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, კაზახეთისა და ყირგიზეთის სს რესპუბლიკებში	7,0	10,0
წეკო ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში	6,0	9,0
დანარჩენი კულტურები, რომლებიც ჩამოთვლილია ამ კანონის მე-5 მუხლში,—ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში	8,0	12,0

17. მუშების, მოსამსახურეების და კოოპერირებული შინამრეწველების კუთვნილი ქონების სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევისათვის შეფასებულ იქნას კოლმეურნეობა მეურნეობებისათვის (მეურნეობის არაგანსაზოგადოებულ ნაწილში) დაწესებულ სადაზღვევო გადასახდელთა განაკვეთები (ტარიფები), ხოლო არაკოოპერირებულ შინამრეწველთა, ხელოსანთა და სხვა მოქალაქეთა კუთვნილი ქონებისათვის— ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობებისათვის დაწესებული განაკვეთები.

18. საგაზაფხულო და საშემოდგომო ნათესების სადაზღვევო გადასახდელი თვითეულ მეურნეობაზე გამოანგარიშებულ იქნას თესვის გეგმის მიხედვით, მრავალწლოვანი ბალახების წარსული წლების ნათესების დაზღვევისა—თიბვის გეგმის მიხედვით, ხოლო ბალების, საკენკრეთა და სხვა ნარგავთა მოსავლის სადაზღვევო გადასახდელი—ფაქტიური ფართობის მიხედვით.

გეგმის გადამეტებით დათესილი ფართობი დაზღვეულ იქნას უფასოდ.

19. უფლება მიენიჭოს:

ა) მოკავშირე რესპუბლიკათა სახალხო კომისართა საბჭოებს—მე-15 და მე-16 მუხლებში აღნიშნულ სადაზღვევო გადასახდელთა საშუალო განაკვეთების ფარგლებში დაწესონ ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქებისათვის განსაკვეთები, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკებში, რომელთაც საოლქო დაყოფა არა აქვთ,—განაკვეთები რაიონებისა და ქალაქებისათვის;

ბ) ავტონომიურ რესპუბლიკათა სახალხო კომისართა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს—დაწესონ საშუალო განაკვეთების ფარგლებში განაკვეთები რაიონებისა და ქალაქებისათვის;

გ) რუსეთის სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს—ნაწილობრივ ან მთლიანად გაათავისუფლოს სადაზღვევო გადასახდელთა გადახდისაგან მეცხოველეობის კოლმეურნეობათა მეურნეობანი და მოქალაქეთა მეურნეობანი განაპირა ჩრდილოეთის ადგილებში.

20. უფლება მიენიჭოს სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატს:

ა) გაადიდოს ან შეამციროს არაუმეტეს 30 პროცენტით, შენობათა ცეცხლგამძლეობის მიხედვით, შენობათა დაზღვევის სადაზღვევო გადასახდელთა საშუალო განაკვეთები;

ბ) შეუმციროს ცალკეულ ადგილებს არაუმეტეს 50 პროცენტით ცხენების სადაზღვევო გადასახდელთა განაკვეთები.

21. სავალდებულო საგანაკვეთო სადაზღვევო გადასახდელები გამოიანგარიშება სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების მიერ. ყოველ დამზღვევს ხელწერილ ქვეშ ეძლევა სახელმწიფო დაზღვევის მიერ დაწესებული ფორმის საგადასახადო უწყება. სოფელ ადგილებში დამზღვევთ (გარდა კოლმეურნეობებისა) გადასახდელებს ახდევინებენ რაიონების საფინანსო განყოფილებათა საგადასახადო აგენტები, ხოლო კოლმეურნეობებს და ქალაქ ადგილების დამზღვევთ—სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები.

22. იმ შემთხვევაში, როცა აღმოჩნდება რეგისტრაციის დროს გადამალული ან გამოტოვებული ქონება, რომელსაც სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევა ეხება, სადაზღვევო გადასახდელი გადახდევინებულ იქნება მთელი იმ დროისათვის, რომლის განმავლობაშიც ქონება არა ყოფილა აღრიცხული, მაგრამ ეს დრო არ უნდა აღემატებოდეს ორ წელს.

23. ქონების რეგისტრაცია, რომელსაც სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევა ეხება, წელიწადში ერთხელ სწარმოებს. სადაზღვევო გადასახდელი გამოიანგარიშება ამ რეგისტრაციის დროს აღრიცხული ქონების მიხედვით. იმ ქონების სადაზღვევო გადასახდელი, რომელიც დამზღვევის მეურნეობას რეგისტრაციის შემდეგ შეემატა, გადახდევინებულ იქნება მხოლოდ ქონების შემდეგი მორიგი აღრიცხვის ჩატარების შემდეგ.

24. ზარალის გამო სადაზღვევო ანაზღაურების თანხებიდან გამოქვითული იქნება მხოლოდ სადაზღვევო გადასახდელი და მისი ნარჩენი.

25. დაწესდეს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახდელთა შეტანის შემდეგი ვადები:

ა) კოლმეურნეობათათვის — გადასახდელის 40 პროცენტი ყოველი წლის 15 სექტემბრისათვის, 30 პროცენტი—1 ნოემბრისათვის და 30 პროცენტი 1 დეკემბრისათვის;

ბ) კოლმეურნეების, მუშების, მოსამსახურეების, ერთპიროვნული გლეხებისა და სხვა მოქალაქეთათვის—გადასახდელის 50 პროცენტი ყოველი წლის 15 სექტემბრისათვის და 50 პროცენტი 1 ნოემბრისათვის.

უფლება მიენიჭოს სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატს დაადგინოს ცალკეული ადგილებისათვის სადაზღვევო გადასახდელთა შეტანის სხვა ვადები.

26. ვადაზე შეუტანელი სადაზღვევო გადასახდელი ნარჩენად ჩაითვლება. ნარჩენს ერიცხება საურავი ვადას გადაცილებული ყოველი დღისათვის შემდეგი რაოდენობით:

ა) კოლმეურნეობებს—0,05 პროცენტი;

ბ) მოქალაქეთა მეურნეობებს—0,1 პროცენტი.

27. სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შემოსულ გადასახდელთა საერთო თანხიდან 15 პროცენტი გადაირიცხება გამაფრთხილებელ და ხანძრისა და საქონლის დაღუპვასთან ბრძოლის ღონისძიებათა ხარჯების დასაფარავად.

28. სახელმწიფო დაზღვევის დარგში მასობრივი მუშაობის გასაწევად და დამზღვევი აქტივის (საზოგადოებრივი დამზღვევი ინსპექტორების, კოლმეურნეობებთან არსებული სადაზღვევო საგუშაგოთა წევრების და სხვ.) დასაჯილდოებლად დაწესდეს ანარიცხი სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შემოსულ გადასახდელთა 0,5 პროცენტის რაოდენობით.

V. ჯილავათები

29. მეცხოველეობის განვითარებისათვის ხელის შეწყობის მიზნით კოლმეურნეობებს ენიჭებათ შემდეგი შეღავათები:

ა) საჯიშე ცხოველების დაზღვევაში—სადაზღვევო გადასახდელის შემცირება 20 პროცენტის რაოდენობით;

ბ) სასაქონლო ფერმებში მყოფი ცხოველების დაზღვევაში — სადაზღვევო გადასახდელის შემცირება 20 პროცენტის რაოდენობით;

გ) კოლმეურნეობებს, რომლებიც გადამეტებით ასრულებენ მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმას და რომელთაც საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ ცხოველთა მოვლა-შენახვაში, ენიჭებათ ცხოველთა დასაზღვევად გამოანგარიშებულ სადაზღვევო გადასახდელის შემცირება 25 პროცენტის რაოდენობით.

30. კოლმეურნეობები, რომლებსაც ხანძრის საწინააღმდეგო დაცვის მდგომარეობის მხრივ საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ და რომლებიც ცეცხლგამძლე სახურავებიან შენობებს აგებენ (კრამიტი, რკინა, შიფერი და სხვ.), შენობათა, ინვენტარის, მოწყობილობის, სატრანსპორტო საშუალებათა, პროდუქციის, ნედლეულისა და მასალის დაზღვევისათვის გამოანგარიშებული გადასახდელი შეუმცირდებათ 50-მდე პროცენტის რაოდენობით.

31. მე-29 მუხლის „გ" პუნქტსა და მე-30 მუხლში აღნიშნული შეღავათების სიდიდე ცალკეული კოლმეურნეობებისათვის წესდება მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებით კოლმეურნეობებში დაზღვეული ქონების მდგომარეობის შემოწმების აქტების საფუძველზე.

32. მსხვილფეხა რქიანი საქონლის მოზარდეული 6 თვიდან 1 წლამდე ასაკისა და ცხენის, აქლემის, სახედრის, ჯორისა და ირმის მოზარდეული 1 წლიდან 2 წლამდე ასაკისა (ხოლო

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

სსრ კავშირის 1-ღი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

კანონები, მიღებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ

კანონი სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ

(დასასრული)

ცხენის, აქლემისა და სახედრის საკვირე მოზარდეული 6 თვიდან 2 წლამდე ასაკისა) სადაზღვევო გადასახდელთა გადაუხდევინებლად იზღვევა.

33. მშრომელთა დეპუტატების სარაიონო და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების წარდგენით, შეუძლიათ ნაწილობრივ ან მთლიანად გაათავისუფლონ სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის სადაზღვევო გადასახდელისაგან მოქალაქეთა (ცალკეული მეურნეობანი.

34. ახლად დასახლებულნი, აგრეთვე კოლმეურნეობანი, რომლებიც ახლად დასახლებულთაგან ეწყობიან ან თავიანთ შემადგენლობაში იღებენ მათ, ჩასახლების ადგილებში სადაზღვევო გადასახდელთა გადახდისაგან თავისუფლდებიან „სასოფლო - სამეურნეო გადასახლების ხაზით შეღავათების შესახებ“ სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 17 ნოემბრის № 115/2043 დადგენილების (სსრ კავშირის კან. კრ. 1937 წ., № 73, მუხ. 352) შესაბამისად.

35. იმ მეურნეობათა არაგანსაზოგადოებული ქონების დაზღვევის სადაზღვევო გადასახდელი, რომლებიც მოცემული წლის 15 სექტემბრამდე შევიდნენ კოლმეურნეობებში, გამოიანგარიშება კოლმეურნეთა მეურნეობებისათვის დაწესებული განაკვეთების (ტარიფების) მიხედვით.

VI. დამზღვევთა მოვალეობანი

36. კოლმეურნეობანი და სხვა დამზღვევნი მოვალენი არიან სავსებით ყარგად ჰქონდეთ მოვლილი ქონება და ნათესები, მტკიცედ დაიცვან ხანძრის საწინააღმდეგო, აგრონომიული და ვეტერინარული წესები, მიიღონ ყველა მათზე დამოკიდებული ღონისძიება, რათა თავიდან იქნას აცილებული ხანძარი, პირუტყვის დაავადება და სხვ.

37. დამზღვევმა სტიქიური უბედურებისაგან დაზღვეული ქონების დაღუპვისა ან დაზიანების შესახებ უნდა აცნობოს: კოლმეურნეობებმა — სოფლის საბჭოსა და დაზღვევის ინსპექტორს, კოლმეურნეებმა და ერთპიროვნულმა მეურნეებმა — სოფლის საბჭოს. ეს განცხადებანი შეტანილ უნდა იქნას არაუგვიანეს შემდეგი ვადებისა:

ა) ნაგებობათა და სხვა ქონების ხანძრისაგან, წყალდიდობისაგან და სხვ. დაღუპვისას, აგრეთვე პირუტყვის დაღუპვისას — არაუგვიანეს ერთი დღეღამისა სტიქიური უბედურების ან უბედური შემთხვევის დღიდან;

ბ) სათევზაო გემების დაღუპვისა ან დაზიანებისას—არაუგვიანეს ხუთი დღეღამისა სტიქიური უბედურების დღიდან;

გ) სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაღუპვისა ან დაზიანებისას—არაუგვიანეს ხუთი დღეღამისა იმ დღიდან, როცა მათი დაზიანება ან დაღუპვა გამოირკვა.

დამზღვევთაგან მიღებული განცხადებების შესახებ, გარდა იმ განცხადებისა, რომლებიც პირუტყვის დაღუპვას ეხება (მუხ. 38), სოფლის საბჭოები მოვალენი არიან აცნობონ სარაიონო დაზღვევის ინსპექციას არაუგვიანეს მომდევნო დღისა.

VII. ზარალის შესახებ აქტების შედგენის წესი

38. დაზღვეული პირუტყვის დაღუპვის შემთხვევაში სოფელ ადგილას აქტებს ადგენენ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ან მისი რწმუნებით სოფლის საბჭოს დეპუტატები; ქალაქ ადგილას—დაზღვევის ინსპექტორები ან ვეტერინარი ექიმები. აქტის შედგენაში აუცილებლად მონაწილეობა უნდა მიიღონ: როცა ზარალი კოლმეურნეობაში მოხდა—გამგეობის თავმჯდომარემ ან გამგეობის სპეციალურმა რწმუნებულმა წევრმა, ხოლო როცა ზარალი კოლმეურნის ან ერთპიროვნული მეურნის მეურნეობაში მოხდა — მეურნეობის მეთაურმა ან ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა. აქტები სდგება ორი მოწმის თანდასწრებით.

39. ნაგებობათა, ინვენტარის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების, სათევზაო გემებისა და სხვა ქონების დაღუპვის ან დაზიანების შემთხვევაში, აქტებს ადგენენ სახდაზღვევის ორგანონი. აქტების შედგენაში აუცილებლად მონაწილეობა უნდა მიიღონ დამზღვევმა (მუხ. 38), სოფლის საბჭოს წარმომადგენელმა და ორმა მოწმემ, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაღუპვის დროს—აგრონომმაც.

40. სახდაზღვევა ზარალს არ ანაზღაურებს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც დაზღვეული ქონების დაღუპვისა ან დაზიანებაში ბრალი მიუძღვის კოლმეურნეობის გამგეობას, ხოლო მოქალაქეთა მეურნეობებში — დამზღვევს ან მისი ოჯახის სრულწლოვან წევრს.

41. სახდაზღვევას უფლება აქვს სახალხო სასამართლოს საშუალებით აღძრას ძიება, რათა სადაზღვევო ანაზღაურების გაცემული თანხა გადახდეს იმ პირს, რომელსაც ბრალი მიუძღვის დაზღვეული ქონების დაღუპვასა ან დაზიანებაში.

42. სახდაზღვევას უფლება აქვს უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე, თუ დამზღვევმა დადგენილ ვადაზე არ აცნობა (მუხ. 37) დაზღვეული ქონების დაღუპვისა ან დაზიანების შესახებ, თუმცა ამის საშუალება ჰქონდა.

VIII. სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის ჩატარების წესი

43. სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევა სწარმოებს ამ კანონისა და მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა სახალხო კომისართა საბჭოების მიერ ამავე კანონის საფუძველზე გამოცემულ დადგენილებათა და მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

44. წინადადება მიეცეს მოკავშირე რესპუბლიკათა სახალხო კომისართა საბჭოებს 10 დღის ვადაში გამოსცენ და გამოაქვეყნონ დადგენილებანი სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ.

45. ამ კანონის გამოცემასთან ერთად გაუქმდეს:

ა) სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1933 წლის 28 მაისის დადგენილება „სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის წესების დამტკიცების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრებ., 1933 წ., № 34, მუხ. 201-ა, 201-ბ);

ბ) სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1934 წლის 19 ივლისის დადგენილება „1935 წელს სოფელ ადგილებში და ქალაქებში სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრებ. 1934 წ., № 38, მუხ. 308), აგრეთვე სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებანი: 1935 წლის 2 აგვისტოს თარიღით „1936 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრებ., 1935 წ., № 41, მუხ. 347); 1936 წლის 14 ივლისის თარიღით — „სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრებ. 1936 წ., № 37, მუხ. 325) და 1937 წლის 4 აგვისტოს თარიღით — „სოფელ ადგილებში და ქალაქებში სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1934 წლის 19 ივლისის დადგენილების შეცვლის თაობაზე“ (სსრ კავშირის კან. კრებ., 1937 წ., № 50, მუხ. 211);

გ) სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1936 წლის 5 აპრილის დადგენილება „სარაიონო დამზღვევი კომისიების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრებ., 1936 წ., № 18, მუხ. 159);

დ) სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1937 წლის 29 აპრილის დადგენილება „სოფელ ადგილებში სარაიონო საფინანსო განყოფილებათა სადაზღვევო ინსპექციების მუშაობის შესახებ სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქციის დამტკიცებაზე“ (სსრ კავშირის 1937 წლის კან. კრებ. № 30, მუხ. 125).

ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1938 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება „სოფელ ადგილებსა და ქალაქებში სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1934 წლის 19 ივლისის დადგენილების შეცვლის თაობაზე“ (სსრ კავშირის დადგ. კრებ., 1938 წ., № 45, მუხ. 269) და 1939 წლის 5 იანვრის № 7 დადგენილება „გვალვისაგან სელისა და კანაფის ნათესების, წითელი სამყურის სათესლეების, მცენარეთა დაავადებისაგან სპეციალურ და ტექნიკურ სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ცალკეული სახეების სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გაუქმების შესახებ“ (სსრ კავშირის დადგ. კრ. 1939 წ., № 4, მუხ. 16).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი 1940 წლის 4 აპრილი.

უკანასკნელი ცნობები

ინგლისის ხელისუფალთა განკარგულება ნეიტრალურ ქვეყნებთან ნაოსნობის, ავიომიმოსვლის, საფოსტო და საფელეფონო კავშირის შესახებ

ლონდონი, 10 აპრილი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის ეკონომიური ომის სამინისტრომ განაცხადა, რათა ყველა გემმა (მათი ნაციონალური კუთვნილების მიუხედავად), რომელნიც სკანდინავიის ქვეყნებში ან ბალტიისპირა სახელმწიფოებში მიემგზავრებიან, დაუყოვნებლივ შესწყვიტონ ნაოსნობა მოსალოდნელ ამბებთან დაკავშირებით.

შემდეგ საგენტო იუწყება, რომ ინგლისის ფოსტის მინისტრის განკარგულებით დროებით სწყდება საფოსტო კავშირი დანიასთან, ესტონეთთან, ფინეთთან, გრენლანდიასთან, ლატვიასთან, ლიტვასთან, ნორვეგიასთან, შვეციასთან, როგორც სჩანს, ამ ქვეყნებთან განუსაზღვრელი დროით შესწყდება აგრეთვე სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირი.

ჰოლანდიის საჰაერო მიმოსვლის კომპანია (კ. ლ. მ.) აცხადებს, რომ, ინგლისის ხელისუფალთაგან მიღებული განკარგულების თანახმად, იგი დროებით სწყვეტს მიმოსვლას ავიახაზებზე ინგლისსა და ჰოლანდიას შორის. ეს განკარგულება ეხება აგრეთვე სხვა ავიახაზებსაც, რომლებიც ინგლისს ნეიტრალურ ქვეყნებთან აკავშირებენ.

დანიასა და შვეციას შორის მიმოსვლის შეწყვეტა

ბერლინი, 10 აპრილი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ დანიის სახელმწიფო რკინიგზების სამმართველომ გამოაცხადა, რომ სწყდება მიმოსვლა კოპენჰაგენსა და მალმეს შორის, აგრეთვე ჰელსინგერსა და ჰელსინგბორგს შორის, ესე იგი რკინიგზის ორივე ხაზზე, რომლებიც დანიიდან შვეციაში მიდიან ერეზუნდის სრუტეზე გავლით, აგრეთვე დახურულია ყველა საჰაერო ტრასა, რომელიც დანიაზე გადის.

ჩემბერლენის გამოსვლა

ლონდონი, 9 აპრილი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, დღეს თემთა პალატაში განცხადებით გამოვიდა პრემიერ-მინისტრი ჩემბერლენი.

თავის სიტყვის დასაწყისში ჩემბერლენმა მოაგონა პალატას ინგლისის მთავრობის უკანასკნელი ღონისძიებანი ბლოკადის გაძლიერების და, კერძოდ, ნორვეგიის წყლებში გერმანიის სავაჭრო ნაოსნობის შეწყვეტის დარგში. „მოკავშირეებმა, — განაცხადა ჩემბერლენმა, — ნორვეგიას აცნობეს, რომ ისინი უფლებას იტოვებენ მიიღონ ისეთი ზომები, რომლებიც შეიძლება საჭირო აღმოჩნდეს ძალთა თანაფარდობის დასაცავად. მოკავშირეებმა ნორვეგიის ტერიტორიულ წყლებში იმისათვის დანაღმეს ადგილები, რომ გერმანიის გემების მიმოსვლა შესწყვიტონ“.

შემდეგ ჩემბერლენმა თემთა პალატას აცნობა, რომ გერმანიის ჯარი დანიისა და ნორვეგიის ტერიტორიაზე შევიდა. „გერმანიის მოტორიზებულმა ღა ქვეითმა ნაწილებმა,—აღნიშნა მან, —დღეს გათენებისას გადალახეს დანიის საზღვარი, და დანიის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ამჟამად გერმანიის კონტროლქვეშ იმყოფება. დღეს დილით, როგორც იუწყებიან, გერმანიის ჯარი კოპენჰაგენში გადასხდა. ინგლისის მთავრობამ მიიღო ცნობები, რომ გერმანიის დესანტმა ოსლოში დღეს დილით ადრე ფორსალურად მოითხოვა, რათა ნორვეგია გერმანიას დაჰმორჩილებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში. — განაცხადა მან, —ყოველგვარი წინააღმდეგობა ჩახშობილი იქნებაო. ეს მოთხოვნა ნორვეგიის მთავრობამ, რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ უარჰყო. ახლა ჩვენ მივიღეთ ცნობები, რომ ბრძოლა უკვე დაიწყო, და, პრესის ცნობით, გერმანელებმა ოსლოსა და ქრისტიანსუნდს ყუმბარები დაუშინეს. გერმანიის ჯარი ნორვეგიის სანაპირო სხვადასხვა პუნქტში გადასხდა“.

„ასეთი ოპერაცია, — განაცხადა შემდეგ ჩემბერლენმა, — რასაც თან სდევდა სამხედრო-საზღვაო ძალების დახმარებით ჯარის ერთდროული გადასხმა მთელ რიგ ნავსადგურებში, ხანგრძლივ მომზადებას მოითხოვდა“.

შემდეგ ჩემბერლენმა გამოსთქვა ინგლისის მთავრობის თვალსაზრისი ნორვეგიის ამბებთან დაკავშირებით. ინგლისის მთავრობამ,—განაცხადა მან, — დაუყოვნებლივ აცნობა ნორვეგიის მთავრობას, რომ „ინგლისმა გადასწყვიტა შემდეგში სრული დახმარება გაუწიოს ნორვეგიას“. ამასთან ჩემბერლენმა აუწყა პალატას, რომ ინგლისის ფლოტის მძლავრი შენაერთები ამჟამად ზღვაში იმყოფებიან, მაგრამ უარი სთქვა რაიმე ეცნობებინა ზღვაზე წარმოებული ოპერაციების შესახებ.

კითხვაზე: „განზრახვა აქვს თუ არა ინგლისის მთავრობას აღმოუჩინოს დახმარება დანიას?“ ჩემბერლენმა უპასუხა: „ვერაფერს დავუმატებ იმ დეკლარაციას, რომელიც გამოვაქვეყნე“.

ლიბერალ მანდერის წინადადებაზე —მოწვეული ყოფილიყო ერთა ლიგის საბჭო, ჩემბერლენმა უპასუხა: „ყოველ საქმეს თავის დრო აქვს. არის სხვა ღონისძიებანი, რომლებიც უფრო ეფექტიურია, ვიდრე ერთა ლიგის მოწვევა“.

დანიის მეფისა და მთავრობის მიმართვა მოსახლეობისადმი

ბერლინი, 9 აპრილი (საკდესი). როგორც ტრანსოკეანის სააგენტოს კოპენჰაგენელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, დანიის მეფემ და დანიის მთავრობამ დღეს დანიის მოსახლეობას მიმართეს მოწოდებით—დაიცვას სიმშვიდე და წესრიგი. დანიის ინტერესების დასაცავად, — ნათქვამია მიმართვაში, — მეფემ და მთავრობამ თავიანთი ნება-სურვილის წინააღმდეგ მიიღეს გერმანიის მოთხოვნები, და ამჟამად გერმანიის ჯარი მოქმედებს დანიის შეიარაღებულ ძალებთან შეთანხმებულად, რომლებიც არავითარ წინააღმდეგობას არ უწევენ გერმანიის ჯარს.

რეიხეერის სააგენტო დანიაში გერმანიის ჯარის მოქმედების შესახებ

ლონდონი, 9 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი მალმედან იუწყება, რომ ამჟამად მთელი დანია გერმანელთა ხელშია. გერმანიის ჯარმა ფაქტიურად დაიკავა ყველა უმნიშვნელოვანესი ქალაქი და სამხედრო პუნქტი. ოკუპირებულ ქალაქთა შორის არის—კოპენჰაგენი, ესბიერგი, კორსორი და ნიუბერგი. გერმანელებმა დაიკავეს სუტე პატარა ბელტი და მასზე გადებული ხიდი. დანიასა და შვეციას შორის ბორნით მიმოსვლა სრულიად შეწყვეტილია. დანიის რადიოსადგური ხელთ იგდო გერმანიის სარდლობამ.

სრული დაბნელება დანიაში

ლონდონი, 9 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტო კოპენჰაგენიდან რადიოთი გადმოგვცემს, რომ დანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრძანება გამოსცა—დღევანდელი ღამიდან დაწყებული განსაკუთრებულ განკარგულებამდე სრული დაბნელება ჩატარდეს მთელ დანიაში.

ნორვეგიის ახალი მთავრობა

ბერლინი, 9 აპრილი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო ოსლოდან იუწყება, რომ იქ შეიქმნა ნორვეგიის ახალი მთავრობა. პრემიერ მინისტრად დანიშნულია ვიდკუნ კვისლინგი.

გერმანიის ჯარის წინსვლა ნორვეგიაში

პარიზი, 9 აპრილი (საკდესი). როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, დღეს, დილის 8 საათზე, ოსლოს რადიომ გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა: „წუხელ გერმანიის საზღვაო ძალები, ნორვეგიის ფლოტისა და სანაპირო არტილერიის წინააღმდეგობის მიუხედავად, ოსლო-ფიორდში შეავიდნენ. ჰორტენს ყუმბარები დაუშინეს, ხოლო ფორტი და ქალაქი ბერგენი გაათეთრებული ბრძოლის შემდეგ გერმანიის ჯარმა დაიკავა“.

პარიზი, 9 აპრილი (საკდესი): ჰავასის სააგენტოს მიერ სტოკჰოლმიდან მიღებული ცნობით, გერმანელებმა დაიკავეს სტავანჰერი (ნორვეგიის პორტი).

პარიზი, 9 აპრილი (საკდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება ოსლოდან მიღებულ შემდეგ ცნობას: „გერმანიის სამხედრო გემები, რომლებიც წუხელ ოსლო-ფიორდში შეიჭრნენ, ფიორდის შესასვლელის დამცველი ფორტის წინააღმდეგობას წააწყდნენ.

გერმანელებმა, სანამ ისინი ფიორდის შუაგულისაკენ წინსვლას დაიწყებდნენ, 20-მდე კაცი გადმოსხეს ვალოეში, ტენსბერგის მახლობლად. ნორვეგიელებმა ერთხელ გაისროლეს ზარბაზანი, მაგრამ გერმანელებს პასუხი არ გაუცია. ვალოეს მოსახლეობამ დაბა დასტოვა და ტენსბერგისაკენ გაემართა“.

რუზველტის განცხადება

ნიუ-იორკი, 10 აპრილი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ჭაიდპარკიდან ვაშინგტონში მიმავალმა რუზველტმა გუშინ პრესის წარმომადგენლებს გაუცხადა: შესაძლოა 10 აპრილს ღამით გამოცხადდეს, რომ ნეიტრალიტეტის კანონი ნორვეგიაზე ვრცელდებაო. რუზველტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამჟამად შეუძლებელია დანამდვილებით ითქვას — გავრცელდება თუ არა ეს კანონი დანიაზედაც, რამდენადაც არ მოგვეპოვება ცნობები დანიაში წარმოებული საომარი მოქმედების შესახებ.

შემდეგ რუზველტმა, უპასუხა რა კორესპონდენტთა შეკითხვაზე — გერმანიის მოქმედება სკანდინავიაში ხომ არ უახლოვებს ომს ასპარეზს ამერიკის შეერთებულ შტატებსო, — განაცხადა, რომ უკანასკნელი 48 საათის განმავლობაში მომხდარი ამბები უეჭველია აიძულებენ ბევრ ამერიკელს ჩაუფიქრდეს ომის შესაძლებლობას. რუზველტმა აგრეთვე განაცხადა: როგორც კი ვაშინგტონში ჩავალ, მაუნშეე მექნება საუბარი საწყლმწიფო მდივან ჰელთან და უელესთანაო. უპასუხა რა შეკითხვაზე ამ ცნობის შესახებ, რომ ჰოლანდიის მთავრობამ წინადადება მისცა ნეიტრალური ქვეყნების მთავრობებს გაერთიანებულ პროტესტი განაცხადონ ნეიტრალიტეტის დარღვევის წინააღმდეგ, რუზველტმა სთქვა, რომ ამის შესახებ მან არაფერი იცის.

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობა

ბერლინი, 10 აპრილი (საკდესი). გერმანიის არმიის უმაღლესმა სარდლობამ გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა: „დასავლეთის ფრონტზე არავითარი განსაკუთრებული ამბები არ მომხდარა.

დანიასა და ნორვეგიაში სამხედრო ღონისძიებანი გუშინ ჩატარებულ იქნა გენერალ ფონ ფალკენხორსტის მთავარსარდლობით არმიის, ფლოტისა და ავიაციის მჭიდრო ურთიერთმოქმედობით. სამხედრო-საზღვაო ძალებს სარდლობდა გენერალ ადმირალი ბალტერი და ადმირალი კარლსი, მრავალრიცხოვან საჰაერო შენაერთებს სარდლობდა გენერალ - ლეიტენანტი ზეისლერი. მოტო-ჯავშან-მექანიკურმა ნაწილებმა გენერალ კაპიტის სარდლობით დილით გადალახეს გერმანია-დანიის საზღვარი და, სწრაფად მიიწევდნენ რა წინ აპერლადესა და ესბიერგზე გავლით, დაიკავეს იუტლანდია. ამ წინსვლის დროს ადგილი ჰქონდა ცალკეულ შეტაკებებს დანიის ჯართან. ეს შეტაკებანი შესწყდა, როგორც კი დანიის ჯარმა თავისი მთავრობისაგან მიიღო ბრძანება—არ გაეწია ჩვენთვის არავითარი წინააღმდეგობა. იუტლანდიის დაკავებასთან ერთად, გერმანიის ჯარმა, რომელსაც დახმარებას უწევდნენ სამხედრო-საზღვაო ფლოტი და ავიაცია, დესანტი გადასხა მცირე ბელტის სრუტეში მიდელფარტის (ფიუნის კუნძული) მახლობლად და დიდბელტში კორსელისა და ნიუბორგის მახლობლად, აგრეთვე ვედსერში კუნძულების დასაკავებლად. კოპენჰაგენი ჯერ კიდევ დილით ადრე იქნა დაკავებული უბრძოლველად. გერმანიის ავიაცია მთელი დღის განმავლობაში აწარმოებდა სადაზღვევო ფრენას დანიის ტერიტორიაზე და, ამგვარად, უზრუნველჰყოფდა გერმანიის ჯარის წინსვლას.

ნორვეგიის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული დასაყრდენი პუნქტების დაკავების დროს სხვადასხვა უბნებზე გერმანელებს წინააღმდეგობა გაუწიეს. გერმანიის შეიარაღებულმა ძალებმა დღის განმავლობაში დაიკავეს ფორტები ოსლო-ფიორდში. გერმანელთა ხელშია ნარვიკი, ტრონჰეიმი, ბერგენი, სტავანგერი, ეგერზუნდი, ქრისტიანსუნდი, არენდალი და ოსლო. ამგვარად, გერმანიის სამხედრო - საზღვაო ფლოტმა შეასრულა მის წინაშე დასახული ამოცანა—უზრუნველეყო ინგლის-საფრანგეთ[illegible] [illegible] ალმდეგ მიმართული [illegible] მელიც მას ბევრად სჭირობდა, და გაეადვილებინა ტრანსპორტების მისვლა და დესანტების გადასხმა. გერმანიის ჯარის გადასხმა მოხერხდა თითქმის ყველა პუნქტში, დაწყებული ოსლოთი და გათავებული ნარვიკით.

ნავსადგურებში შესვლის დროს გერმანიის სამხედრო ფლოტს მოუხდა წინააღმდეგობის დაძლევა. გერმანიის საზღვაო არტილერიამ ჩაჩუმა ნორვეგიის მძიმე სანაპირო ბატარეები, რომლებიც დადგმულია ოსლოსთან. ნორვეგიის ერთ ბატარეასთან ბრძოლის დროს, რომელიც 28 სანტიმეტრიანი ქვემეხებისაგან შესდგება, მძიმედ დაზიანდა გერმანიის კრეისერი „ბლიუხერი“. ეს კრეისერი, რომელიც წინ მიიწევდა, ნორვეგიის ნაღმოობურას წააწყდა და ჩაიძირა. დესანტის გადასხმის შემდეგ ქრისტიანსუნდთან გამართული ბრძოლის დროს ძლიერ დაზიანდა და ჩაიძირა კრეისერი „კარლსრუე“. ორივე გემის ეკიპაჟის მეტი ნაწილი გადარჩენილია და გამოყვანილია ნაპირზე. ზღვაში ოპერაციები გრძელდება.

ნორვეგიის უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი პუნქტების დაკავება, რასაც ინგლისი ითვალისწინებდა, უნდა მომხდარიყო მაშინვე, როგორც კი ნორვეგიის წყლებში ნაღმოობურებს მოაწყობდნენ. გერმანიის მოქმედებამ დაასწრო ინგლისელთა ამ ცდას. ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძალები და ჯარის ტრანსპორტები, რომლებიც ამ მიზნისათვის იყო განკუთვნილი, გერმანიის საჰაერო დაზღვერვამ გუშინ გვიან საღამოს აღმოაჩინა და მათზე იერიში მიიტანა. მტრის თითქმის ყველა სამხედრო გემი დაზიანდა მძიმე ყუმბარებისაგან. დაზიანებულია 4 სახაზო გემი, 2 სახაზო კრეისერი, 2 მძიმე კრეისერი, ერთ მძიმე კრეისერს ცეცხლი გაუჩნდა, დაზიანებულია აგრეთვე ორი ტრანსპორტი.

გერმანიის ავიაგამანადგურებელთა ესკადრილიების მიერ დანიისა და ნორვეგიის დასავლეთ სანაპიროსი, აგრეთვე გერმანიის შიდა ბუხტის პატრულირებამ უზრუნველჰყო ოპერაციების ჩატარება. ჩამოგდებულია ინგლისის ერთი მფრინავი ნავი „სანდერლენდის“ ტიპისა. ნორვეგიის ტერიტორიის შემდგომი დაკავება სწრაფად და გეგმაზომიერად გრძელდება“.

ბრძოლა ნორვეგიის ნაპირებთან

ლონდონი, 10 აპრილი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ გუშინ საღამოს ინგლისის თვითმფრინავებმა რამდენჯერმე დაესხნენ თავს გერმანიის საბრძოლო გემებს, რომლებიც ბერგენში დგანან. ბომბარდირების შედეგად გერმანიის ერთი კრეისერი სერიოზულად დაზიანდა. ინგლისის თვითმფრინავები უფრთხილად დაბრუნდნენ თავიანთ ბაზებში.

ლონდონი, 10 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ სერიოზულად დაზიანდა გერმანიის ერთერთი საესკადრო ნაღმოსანი.

ლონდონი, 10 აპრილი (საკდესი). ინგლისის საზღვაო სამინისტრომ დღეს გამოაქვეყნა შემდეგი კომუნიკე: „დღეს განთიადზე ინგლისის საესკადრო ნაღმოსნებმა „იერიში მიიტანეს მტრის სამხედრო გემებზე ნარვიკის ნავსადგურში. ინგლისის საესკადრო ნაღმოსნები ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდნენ. ბრძოლის შედეგად ჩაიძირა ინგლისის საესკადრო ნაღმოსანი „ხანტერი“, ხოლო საესკადრო ნაღმოსანი „ჰარდი“ მეჩეჩზე დაჯდა. ფანარჩენმა სამხედრო გემებმა შესწყვიტეს ბრძოლა და დასტოვეს ნორვეგიის წყლები. მოკლულთა და დაჭრილთა რაოდენობის შესახებ ჯერ არაფერი ვიცით. არა გვაქვს აგრეთვე ზუსტი ცნობები მტრის ზარალის შესახებ. მაგრამ სტოკჰოლმიდან მიღებული და. [illegible]

ომი ჰაერში

ნიუ-იორკი, 10 აპრილი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ გერმანიის ორმა ავიაგამანადგურებელმა ჭ. ოსლოს აეროპორტის მახლობლად ჩამოაგდო ინგლისს ყუმბარმშენი.

გერმანია უარკყოფს

ბერლინი, 10 აპრილი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ დღეს დილით რეიტერის სააგენტო ავრცელებდა ინგლისის ავიაციის სამინისტროს ცნობას ბერგენ-ფიორდის რაიონში გერმანიის შეიარაღებულ ძალებზე თავდასხმის დროს ინგლისის მფრინავთა ვითომდაც წარმატებების შესახებ. „ინგლისის ავიაციამ მართლაც მიიტანა იერიში, — ნათქვამია გერმანიის ბიუროს ცნობაში, — მაგრამ ყუმბარები წყალში და მიწაზე ვარდებოდა ისე, რომ მათ არავითარი ზიანი არ მიუყენებიათ სამხედრო მნიშვნელობის ობიექტებისათვის ან საბრძოლო ერთეულებისათვის. გერმანიის სათანადო წყაროებიდან მიღებული დაწვრილებითი ცნობები ცხადად ადასტურებენ, რომ ინგლისის ავიაციის წარმატებანი ინგლისელ მფრინავთა ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს“.

გერმანიის კრეისერების ჩასვლა ფრონჰეიმში

ნიუ-იორკი, 10 აპრილი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ლონდონიდან იუწყება, რომ ტრონჰეიმში ჩავიდა გერმანიის 4 კრეისერი. გერმანიის ჯარმა ტრონჰეიმი 2 საათის განმავლობაში დაიკავა ისე, რომ წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ.

„კომბლე“ ქუთაისის თეატრში

ქუთაისის თეატრმა მიიღო დასადგმელად გ. ნახუცრიშვილის სამავშვო პიესა „კომბლე“ — ზღაპარი-კომედია 3 მოქმედებად და 5 სურათად. პიესას სდგამს რეჟისორი ს. ოყრუშიძე, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ვ. ცომაიას, მუსიკა თ. ვახვახიშვილს.

პრემიერა დანიშნულია 11 აპრილს.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს,

რომ 1940 წლის 25 აპრილს, საღამოს 8 საათზე, სოც. ჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12) დანიშნულია საჯარო პაექრობა: მედ. მეცნ. დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად სოციალური ჰიგიენის კათედრის გამგე დოც. **ალექსანდრე გიორგის-ძე ხმალაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„მასალები ჩაის ფაბრიკების ჰიგიენისათვის“.**

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან: პროფ. **ვ. უგულავი,** პროფ. **გ. ნათაძე** და პროფ. **ნ. მახვილაძე.**

28 აპრილს, დღის 2 საათზე, იმავე აუდიტორიაში. მედიცინის მეცნ. კანდ. ხარისხის მოსაპოვებლად სტომატოლოგიური ინსტიტუტის ასისტენტი **სერგო ბეჟანის-ძე დავიდოვი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ზარდადინარის მილის შევიწროების საკითხისათვის“.**

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან პროფ. **გ. ხეჩინაშვილი** და მედ. მეცნიერებათა კანდიდატი დოც. **გ. გაჩეჩილაძე.**

5 მაისს, დღის 2 საათზე, იმავე აუდიტორიაში, იმავე ხარისხის მოსაპოვებლად, ექ. **აგრაფინა იულონის-ასული სვანიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ნაღვლის და ნაღვლის ბუშტის კედლის ცვლილებები sub graviditate“.**

ოფ. ოპონენტებად დანიშნული არიან პროფ. **ა. უსტიაშვილი** და დოცენტი **ირაკლი ტატიშვილი.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს მედინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ლუნაჩარსკის, 12).

150 **დირექცია.**

მშობლები იასონ და ქეთო ხუციშვილები იუწყებიან საყვარელი
დ ო დ ო ს
გარდაცვალებს. პანაშვიდი 11/IV 7 ს. გამოსვენება 12/IV 1 ს. ბელინსკის, 8.
5963

შვილები ლეონილა, ქეთო, ჟორა, დავით, რძლები კატუშა, შუშანა, სიძეები ვასო, აკაკი და შვილიშვილები იუწყებიან
ანეტა ეგნატეს-ასულ პაპავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12/IV სამტრედიაში, მოლოტოვის, 48.
5949

ორჯონიკიძის რაიონის განათლების განყოფილების მე-2 საბავშვო ბაღის თანამშრომლები იუწყებიან ვასო ნადირაშვილის შვილის
თ ე ი მ უ რ ა ზ ი ს
გარდაცვალებას.
5965

დედა ალბინა, ცოლი ანა შვილებით, ძმები კოლია და ანდრო, და მარო კიკნაძეები, სიძე ალექსანდ